სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №320206/01/109

(CPV კოდი: 22111000 - სასკოლო წიგნები)

ქ. თბილისი 22 ივნისი 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222 (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ მამულაშვილის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „საავტორო უფლების მფლობელთან" გაფორმებული ხელშეკრულებისა (წერილობითი თანხმობის) და 2015 წლის 01 ივნისის N444419 და 2015 წლის 16 ივნისის N520709 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.6. „საქონელი" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დაბეჭდილ მზა პროდუქციას - წიგნები (დამხმარე ლიტერატურა), რომლებიც იდენტური შინაარსის და რედაქციისაა, რაც მიმწოდებელმა ბოლოს მიაწოდა საქართველოს საჯარო სკოლებს შესაბამისი საგნებისა და კლასების მოსწავლეებს და რომელიც შეესაბამება დანართი N3-ით (სასკოლო რვეული და ტესტი) განსაზღვრული ტექნიკურ მახასიათებლებსა და სპეციფიკაციას.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქონლის შესყიდვა თანმდევი მიწოდების პირობით.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის პირობები, ერთეულის ფასები და აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, დანართი №1 და დანართი N2, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და/ან მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 122 398.50 (ასოცდაორი ათას სამასოთხმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი დღგ-ს გარეშე.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და მიწოდების ხარჯებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები, წესი და ადგილი

5.1. მიწოდების კონკრეტული ვადები მოცემულია ხელშეკრულების 9.1. პუნქტში.

5.2. სასკოლო სახელმძღვანელოების მოწოდება უნდა განხორციელდეს სათანადო შეფუთვით (პოლიეთილენი ან ქაღალდი) რაზედაც აღნიშნული იქნება კონკრეტული სახელმძღვანელოს დასახელება და რაოდენობა.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

5.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო მოწოდება განხორციელდება ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მისამართი: დიდი ლილო, ერეკლე II -ის ქუჩა.

5.6. საქონლის მიწოდება ხდება ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით.

6. მხარეთა ვალდებულებები და გარანტიები

6.1. ბეჭდვისას გამოიყენოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა მასალები.

6.2. თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია საქონლის მიწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება უშუალოდ მიმწოდებლის საწყობში.

6.6. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მისთვის დაუძლეველი გარემოებების დადგომისას, რითაც საფრთხე შეექმენება ვალდებულების შესრულებას, დაუყოვნებლივ გამონახოს ალტერნატიული გზები

და საშუალებები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

7.3. საავანსო ანგარიშსწორების წესი და პირობები:

ა) მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი წინასწარ ანგარიშსწორებას ახორციელებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით. მიმწოდებლის მიერ, ამავე თანხაზე წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადაც მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ.

ბ) ავანსის გამოქვითვა განხორციელდება ავანსად გაცემული თანხის შესაბამისი ღირებულების შესრულებული მომსახურების მოცულობის სრული ოდენობით. რის შემდეგაც შემსყიდველი უბრუნებს მიმწოდებელს საბანკო გარანტიას წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

გ) ავანსად გაცემული თანხის სრულად გაქვითვის შემდეგ, შემსყიდველი გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორებას განახორციელებს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას უშუალოდ მიმწოდებლის ადგილზე. ინსპექტირების ჯგუფის წევრები განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით, რომელთა ვინაობა წერილობით წინასწარ იქნება ცნობილი.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილი პირია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი - კონსტანტინე ონოფრიშვილი.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიღება-ჩაბარება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად. ამასთან, საქონლის მიწოდების საბოლოო ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2015 წლის 01 სექტემბრისა.

9.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მითითებულ მისამართზე - ქ. თბილისი, დიდი ლილო ერეკლე II - ის ქუჩა.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა.

9.4. შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა.

9.5. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო სასაწყობე ფართის მოძიება და მიმწოდებლის მიერ, შეთანხმებულ მისამართზე საქონლის/მომსახურების მიწოდებისთანავე უზრუნველყოს მისი მიღება/ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს დამზადებული პროდუქციის იძულებით დასაწყობებაზე გაწეული ხარჯი.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფის მიერ აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რა დროსაც მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -ით.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

11.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული კონრეტული ეტაპის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით, ან

ბ) განუსაზღვროს მომსახურების გაწევისთვის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული დამატებითი ვადა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ეტაპზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

11.5. თუ კი შემსყიდველს შექმნილი ფაქტობრივი გარემოების შეფასების შედეგად წარმოეშობა საფუძვლიანი ეჭვი რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების განხორციელებას, ხოლო შემსყიდველის ვალდებულება იქნება შესრულებული

(თანხის გადახდის ნაწილში), იგი უფლებამოსილია ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ).

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რაც წერილობით უნდა დაუდასტუროს შემსყიდველმა. თუ შემსყიდველი დამდგარ გარემოებას არ ჩათვლის ფორსმაჟორად, მიმწოდებელი ვალდებულია გააგრძელეოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და გამონახოს ამ ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები და გზები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.4. მხარეთა მიერ გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოებების გასვლის შემდეგ, თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.5. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი გრიგოლ გაგოშიძე

(ხელმოწერა ან/და ბეჭედი)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N150, ს/კ 204931164, ტელ: 2 91 11 65, ს.ს. „თი ბი სი" ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ნ GE78TB1100000015467964

დირექტორი თინათინ მამულაშვილი

(ხელმოწერა ან/და ბეჭედი)

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
BAKUR SULAKAURI PUBLISHING
204931164

დანართი N1

N	გამომცემლობა	საგანი	წიგნის დასახელება	საყიდელი რვეულების რაოდენობა	საყიდელი ტესტების რაოდენობა	რვეულის ერთეულის ღირებულება (ლარი)	ტესტის ერთეულის ღირებულება (ლარი)	რვეულის საერთო ღირებულება (ლარი)	ტესტის საერთო ღირებულება (ლარი)
1	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial A1	4297	-	3.9	-	16758.3	-
2	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial A2 +CD	4245	4245	5.9	4.9	25045.5	20800.5
3	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial B1 +CD	2673	2673	5.9	4.9	15770.7	13097.7
4	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal A1	1840	-	3.9	-	7176	-
5	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal A2 + CD	1964	1964	5.9	4.9	11587.6	9623.6
6	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal B1 +CD	160	160	5.9	4.9	944	784
ჯამი				15179	9042	-	-	**77282.1**	**44305.8**
სულ ჯამი				24221		-	-	**121587.9**	

ს.ს ი.ტ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო"

დირექტორი

გრიგოლ გაგოშიძე

შ.პ.ს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა -

ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"

დირექტორი

თინათინ მამულაშვილი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა
BAKUR SULAKAURI
PUBLISHING
204931164

დანართი N2

N	გამომცემლობა	საგანი	წიგნის დასახელება	საყიდელი რვეულების რაოდენობა	საყიდელი ტესტების რაოდენობა	რვეულის ერთეულის ღირებულება (ლარი)	ტესტის ერთეულის ღირებულება (ლარი)	რვეულის საერთო ღირებულება (ლარი)	ტესტის საერთო ღირებულება (ლარი)
1	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial A1	30	-	3.9	-	117	-
2	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial A2 +CD	19	19	5.9	4.9	112.1	93.1
3	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial B1 +CD	27	27	5.9	4.9	159.3	132.3
4	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal A1	20	-	3.9	-	78	-
5	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal A2 + CD	9	9	5.9	4.9	53.1	44.1
6	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal B1 +CD	2	2	5.9	4.9	11.8	9.8
ჯამი				107	57	-	-	**531.3**	**279.3**
სულ ჯამი				164		-	-	**810.6**	

ს.ს.ი.პ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო“

დირექტორი

გრიგოლ გაგოშიძე

შ.პ.ს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა -

ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“

დირექტორი

თინათინ ბაბულაშვილი

დანართი N3 - *<u>გერმანული ენის სასკოლო წიგნების ტექნიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია:</u>*

დასახელება	კომპონენტი	ფორმატი	გვერდების რაოდენობა	ბეჭდვის ტექნიკური პარამეტრები	კინძვა
Genial A1	რვეული	195 / 265 მმ	96	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	თერმული
Genial A2	რვეული+CD	195 / 265 მმ	104	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	თერმული
	ტესტების რვეული+CD	195 / 265 მმ	44	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	სტეპლერი
Genial B1	რვეული+CD	195 / 265 მმ	112	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	თერმული
	ტესტების რვეული+CD	195 / 265 მმ	48	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	სტეპლერი
Optimal A1	რვეული	195 / 265 მმ	120	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	თერმული
Optimal A2	რვეული+CD	195 / 265 მმ	134	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	თერმული
	ტესტების რვეული+CD	195 / 265 მმ	36	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	სტეპლერი
Optimal B1	რვეული+CD	195 / 265 მმ	148	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	თერმული
	ტესტების რვეული+CD	195 / 265 მმ	40	ოფსეტურ, 70 გ ოფსეტი, შავ-თეთრი	სტეპლერი

შ.პ.ს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა -

ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“

დირექტორი

თინათინ მამულაშვილი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა
BAKUR SULAKAURI
PUBLISHING
204931164

MES 1 15 00444419

01/06/2015

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ **გრიგოლ გაგოშიძეს**

ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 19 მაისს სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან" შემოსულია წერილი N408355, 2015 სასწავლო წლისთვის შესაძენ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით.

N408355 სამსახურებრივი ბარათისა და ხელმძღვანელობის ზეპირი მითითების საფუძველზე სახელმძღვანელოების ფასების დადგენის მიზნით, შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"-ს და კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ წარმომადგენლებს გადაეგზავნათ ელექტრონული წერილები, ვინაიდან აღნიშნული კომპანიები წარმოადგენენ შესყიდვის ობიექტის ექსკლუზიურ წარმომადგენლებს. ხელმძღვანელობის ზეპირი მითითების საფუძველზე მოწოდების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბერი.

თანდართული ფაილების სახით იხილეთ მიღებული შეთავაზებები (დანართიN1-გერმანული ენის სახელმძღვანელოები-პასუხები მიღებულ იქნა 28.05.2015-ში, დანართი N2 ინგლისური ენის სახელმძღვანელოები- პასუხი გამოგზავნილ იქნა მიმდინარე წლის 29 მაისს)

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
დანართი: 2 (ორი) ფაილი
პატივისცემით,

გამომცემლობა	საგანი	წიგნის დასახელება	საყიდელი სახელმძღვანელოების რაოდენობა	საყიდელი რვეულების რაოდენობა	საყიდელი ტესტების რაოდენობა	სახელმძღვანელოს ერთეულის ღირებულება	რვეულის ერთეულის ღირებულება	ტესტის ერთეულის ღირებულება	სახელმძღვანელოს საერთო ღირებულება	რვეულის საერთო ღირებულება	ტესტის საერთო ღირებულება	სულ
შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial A1		4297			3.9			16758.3		
შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial A2 +CD		4245	4245		5.9	4.9		25045.5	20800.5	
შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Genial B1 +CD		2673	2673		5.9	4.9		15770.7	13097.7	
შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal A1		1840			3.9			7176	0	
შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal A2 + CD		1964	1964		5.9	4.9		11587.6	9623.6	
შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langenscheidt	გერმანული ენა	Optimal B1 +CD		160	160		5.9	4.9		944	784	
				15179	9042					77282.1	44305.8	121587.9

MES 8 15 00520709

16/06/2015

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ **გრიგოლ გაგოშიძეს**

ს ა მ ს ა ხ ურ ე ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გრიგოლ,

მიმდინარე წლის 01 ივნისის N444419 სამსახურებრივი ბარათით წარმოგიდგინეთ გერმანული და ინგლისური ენის სახელმძღვანელოებისა და რვეულების ფასები.

12.06.2015 წლის N496524 სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან" შემოსული სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ გაიზარდა შესასყიდი წიგნების რაოდენობა კერძო სკოლების მოსწავლეთა შემდეგი კატეგორიებისათვის:

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი იმ ოჯახების წევრი მოსწავლეები, რომელთა კანონმდებლობის შესაბამისად 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით მინიჭებული ოჯახის სარეიტინგო ქულა ნაკლებია 70 001-ზე.
- 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები
- კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმით არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთაც სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი აქვთ ვალდებულება პრივატიზებულ ქონებაში არსებული საჯარო სკოლის მოსწავლეების უსასყიდლოდ სწავლის უზრუნველყოფის შესახებ) მოსწავლეები, რომლებიც პრივატიზებამდე სწავლობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვის და განვითარების დეპარტამენტის, პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსის ქალბატონ თამარ მალაზონიას წერილის #MES 5 15 00385554 13.05.2015 დანართის სახით წარმოდგენილი მოსწავლეთა სიის შესაბამისად)
- ახალგორის მუნიციპალიტეტის და გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული იმ სკოლების მოსწავლეების, სადაც სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვის და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ქალბატონ ქეთევან გრიგოლიას წერილის #MES 9 15 00424725 25.05.2015 დანართის სახით წარმოდგენილი სიის შესაბამისად).

დანართის სახით წარმოგიდგენთ დამატებით შესასყიდი გერმანული და ინგლისური ენის სახელმძღვანელოებისა და რვეულების ჩამონათვალს.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

დანართი: 2 (ორი) ფაილი
პატივისცემით,

გამომცემლობა	საგანი	წიგნის დასახელება	საყიდელი სახელმძღვანელოების რაოდენობა	საყიდელი რვეულების რაოდენობა	საყიდელი ტესტების რაოდენობა	სახელმძღვანელოს ერთეულის ღირებულება	რვეულის ერთეულის ღირებულება	ტესტის ერთეულის ღირებულება	სახელმძღვანელოს საერთო ღირებულება	რვეულის საერთო ღირებულება	ტესტის საერთო ღირებულება	სულ
შპს "ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langen scheidt	გერმანული ენა	Genial A1		30								
შპს "ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langen scheidt	გერმანული ენა	Genial A2 +CD		19	19							
შპს "ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langen scheidt	გერმანული ენა	Genial B1 +CD		27	27							
შპს "ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langen scheidt	გერმანული ენა	Optimal A1		20								
შპს "ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langen scheidt	გერმანული ენა	Optimal A2 + CD		9	9							
შპს "ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"/Langen scheidt	გერმანული ენა	Optimal B1 +CD		2	2							
				107	57							0

Klett

Langenscheidt

Klett-Langenscheidt GmbH · Rotebühlstr. 77 · 70178 Stuttgart

Bakur Sulakauri Publishing
150 Agmashenebeli Ave.
0122 Tbilisi
Georgien

June 18th, 2015

Dear Sirs,

In addition to our licence contracts about **Genial A1, A2, B1 and Optimal A1, A2, B1** we herewith confirm that we authorize Bakur Sulakauri Publishing to raise the editions of each of the following titles for the 2015 reprints:

Title	ISBN	Component	copies
Genial A1	978-3-12-606230-5	Workbook	4327
Genial A2			
	978-3-12-606245-9	Workbook +CD	4264
	978-3-12-606250-3	Testbook +CD	4264
Genial B1			
	978-3-12-606216-9	Workbook +CD	2700
	978-3-12-606221-3	Testbook +CD	2700
Optimal A1	978-3-12-606145-2	Workbook	1860
Optimal A2			
	978-3-12-606158-2	Workbook +CD	1973
	978-3-12-606161-2	Testbook +CD	1973
Optimal B1			
	978-3-12-606169-8	Workbook +CD	162
	978-3-12-606172-8	Testbook +CD	162
		total quantity	**24385**

The additional net royalty amount due of **EUR 3.500,-** has to be paid on receipt of invoice.

Klett-Langenscheidt GmbH
Rotebühlstraße 77
D-70178 Stuttgart
Postfach 10 60 16
D-70049 Stuttgart

www.klett-sprachen.de

Contact:
Anita Kolb
Export & Lizenzen
Tel 0711 6672 5714
Telefax 0711 6672 2039
anita.kolb@klett-sprachen.de

Klett-Langenscheidt GmbH
Stuttgart HRB 743938
Umsatzsteuer-ID-Nr.:
DE287057157

Publisher:
Dr. h. c. Michael Klett
Managing Director:
Elizabeth Webster
Dr. Herbert Bornebusch

Klett-Langenscheidt GmbH

Stuttgart, 18.06.2015

Elizabeth Webster
Managing Director

Klett-Langenscheidt GmbH, როტებიულშტრასსე 77, 70178 შტუტგარტი

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“
მის: აღმაშენებლის გამზირი, #150
0122, თბილისი, საქართველო

18 ივნისი, 2015 წ.

ბატონებო,

წინამდებარე წერილით **Genial A1, A2, B1** და **Optimal A1, A2, B1**-ის გამოცემასთან დაკავშირებულ ჩვენს სალიცენზიო ხელშეკრულებებზე დამატებით გვინდა დაგიდასტუროთ, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას ვანიჭებთ უფლებამოსილებას, დამატებით დაბეჭდოს ქვემოთ ჩამოთვლილი ყოველი დასახელება 2015 წელს შემდეგი რაოდენობით:

დასახელება	ISBN	კომპონენტი	ტირაჟი
Genial A1	978-3-12-606230-5	სამუშაო რვეული	4327
Genial A2	978-3-12-606245-9	სამუშაო რვეული + CD	4264
	978-3-12-606250-3	ტესტების რვეული + CD	4264
Genial B1	978-3-12-606216-9	სამუშაო რვეული + CD	2700
	978-3-12-606221-3	ტესტების რვეული + CD	2700
Optimal A1	978-3-12-606145-2	სამუშაო რვეული	1860
Optimal A2	978-3-12-606158-2	სამუშაო რვეული + CD	1973
	978-3-12-606161-2	ტესტების რვეული + CD	1973
Optimal B1	978-3-12-606169-8	სამუშაო რვეული + CD	162
	978-3-12-606172-8	ტესტების რვეული + CD	162
		მთლიანი რაოდენობა	**24385**

ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე საჭიროა დამატებით როიალტის გადასახადის გადახდა სუფთა სახით **3.500,-** ევროს ოდენობით.

Klett-Langenscheidt GmbH

შტუტგარტი, 18.06.2015 ----------

/ წარმოდგენილია ხელმოწერა /

ელიზაბეტ ვებსტერი
გენერალური დირექტორი

გადავთარგმნე:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150674878
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.06.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**თამარ ჯიქურაული**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**დ.აღმაშენებლის გამზ. # 24**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2950343
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	78793627203315

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი **თამარ ჯიქურაული** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ.თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №24 ვადასტურებ თარჯიმნის ეკატერინე ოდიშელიძის (დაბ.18.04.1981 მცხოვრები ქ.გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ.№8 პირადობის მოწმობის №გ 0174876, პირადი ნომერი 13001005321 გაცემული შს. გურჯაანის განყოფილების მიერ 2008წ.) ხელმოწერის ნამდვილობას.

I, Notary, **Tamar Jikurauli**, the Notary bureau located at the address : # 24 Agmashenebeli Street certify the reality of signature of translator **Ekaterine Odishelidze** (born on 18.04.1981, residing in c.Gurgaani #8 Sarajishvili str . Identification Card #A 1180477, Personal Number 13001005321, issued by Department of Internal Affairs of Gurjaani, date of issue: 30.07.2008,).

მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური და ქართული ენები და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს.

I, notary, warned the translator, that she is responsible for the correctness of translation. She confirmed that she knows English and Georgian languages properly and guarantees the correctness of translation.

გადახდილია საზღაური : 2 ლარი თანახმად 29.12.2011 საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის 31 მუხლის საფუძველზე და 39 მუხლის საფუძველზე სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური ორი ლარი.

Paid notary tariff: 2 GEL+ 2 GEL.

ნოტარიუსი: